საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 560 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტის თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ს (საფრანგეთი, საქართველო) შორის გასაფორმებელი საგრანტო დოკუმენტი თემაზე – „ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა“.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო დოკუმენტში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო დოკუმენტის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება, გარდა გრანტის მიღების მიზნის, მოცულობისა და სახსრების (ფულადი, თუ ნატურალური ფორმით) გამოყენების

კონკრეტული მიმართულების ცვლილებისა, მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდგომ გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებული გრანტის ეფექტიანი განხორციელებისა და ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობისათვის მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობისათვის მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საკოორდინაციო საბჭო).

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**